

უბედური შემთხვევის დაზღვევის პოლისი № PAOBG 21/1425

მზღვეველი: სს სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი ს/კ: 204426674

დამზღვევი: ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო“ (ს/კ 418471068)

დაზღვეული: ამავე პოლისის შესაბამის ხელშეკრულების დანართი #2-ში მითითებული პირები.

დაზღვეული რისკები: უბედური შემთხვევა – სამუშაო პროცესში და უშუალოდ სამუშაო პროცესთან დაკავშირებით მომხდარი შემთხვევა, დამდგარი სადაზღვევო პოლისით განსაზღვრულ დაზღვევის პერიოდში, რომელსაც შედეგად მოჰყვა დაზღვეულის ჯანმრთელობის დაზიანება, შრომისუნარიანობის შეზღუდვა ან დაკარგვა, გარდაცვალება ან მისი უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

- მსუბუქი სიმძიმის უბედური შემთხვევა
- საშუალო სიმძიმის უბედური შემთხვევა
- მძიმე უბედური შემთხვევა
- ფატალური უბედური შემთხვევა
- მასობრივი უბედური შემთხვევა

სადაზღვევო უზრუნველყოფის პერიოდი: მხოლოდ სამუშაო საათებში, პირდაპირ, გზის გაუმრუდებლად საცხოვრებელი ადგილიდან სამსახურში და სამსახურიდან საცხოვრებელ ადგილამდე მგზავრობის ჩათვლით.

სადაზღვევო უზრუნველყოფის არეალი: ყველა სამუშაო ადგილისა და იმ ტერიტორიის ერთობლიობა, სადაც დასაქმებულები იმყოფებიან/გადაადგილდებიან სამსახურებრივი დანიშნულებით.

სადაზღვევო უზრუნველყოფა და ლიმიტები:

პაკეტი	GPIH 2
სადაზღვევო თანხა ერთ დაზღვეულზე	5 000 ლარი
მთლიანი სადაზღვევო თანხა/მასობრივი შემთხვევის ლიმიტი	100 000 ლარი
გარდაცვალება	5 000 ლარი
მუდმივი შრომისუნარობა	5 000 ლარი
დროებითი შრომისუნარობა	დღეში 15 ლარი. მაქსიმუმ 300 ლარი
გადაუდებელი სამედიცინო დახმარება	200 ლარი
წლიური სადაზღვევო პრემია 1 პირისათვის	8.76 ლარი

სადაზღვევო პერიოდი: 02.03.2021-დან 01.03.2022-ის ჩათვლით

სადაზღვევო პრემია ხელშეკრულების საწყისი პერიოდისათვის: 2,654.28 ლარი

გადახდის გრაფიკი: ოთხჯერადი.

გადახდის თარიღი: 01.06.2021, ხოლო ყოველი შემდგომი გადახდა უნდა იმეორებდეს პირველი გადახდის თარიღს, გრაფიკის შესაბამისად;

02.03.2020-ის მდგომარეობით დაზღვეულია 303 პირი ხელშეკრულების დანართი #2-ის შესაბამისად.

ხელმოწერით ვადასტურებ,, რომ აქ მოყვანილი მონაცემები არის სრული და ზუსტი, გავცანი და ვეთანხმები უბედური შემთხვევის დაზღვევის პირობებს. თანახმა ვარ, რომ თუ ეს მონაცემები აღმოჩნდა მცდარი ან ყალბი, მზღვეველი არ იქნება ვალდებული ანაზღაუროს შესაბამისი ზარალი. ასევე თანახმა ვარ მზღვეველისგან მივიღო ნებისმიერი ინფორმაცია მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით.

პოლისი ძალაშია დაზღვევის ხელშეკრულებასთან და დაზღვევის პირობებთან ერთად, მხოლოდ წინამდებარე პოლისზე მზღვეველის ბეჭდისა და უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერის არსებობის შემთხვევაში.

დამზღვევი:

მზღვეველი:

პოლისის გაცემის თარიღი: